ს. ჭუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC-
IB-0320

N005730

04/11/2020

ობიექტის დასახელება

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან (დადგენილებები #000634 და #000280) და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში.

ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების შესაბამისობის

ინსპექტირების ანგარიში

საინჟინრო მრეწველობის ასოციაცია
კ. ქუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

ISO/IEC 17020:2012/2013 GAC–IB-0320

დამკვეთი: დასახელება: საიდენტიფიკაციო კოდი: მისამართი: დამკვეთის წარმომადგენელი/თანამდებობა:	**შპს „კონდი“** 404497914 ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქუჩა, კორპ. 4, ბ. 12 დირექტორი: ირაკლი ბოჭორიშვილი
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:	განაცხადი და ხელშეკრულება **N100/10-20** ინსპექტირების მომსახურების გაწევაზე

მომსახურების სფერო:

☐ ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება;

☐ ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება;

☐ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით);

☒ ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება;

☐ ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება;

☐ სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

☐ ლიფტი.

ჯ. ქუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC-
IB-0320

ინსპექტორების წინაშე დასმული ამოცანა:

	ინსპექტორი	დასმული ამოცანა
1	**მალხაზ კიკნაძე**	ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან (დადგენილებები #000634 და #000280) და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში.

ინსპექტირების შემსრულებლების კვალიფიკაცია:

1	**მალხაზ კიკნაძე**	უმაღლესი განათლებით. ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით. აქვს სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟი.

გაფრთხილება

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-2 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ინსპექტირების კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ინსპექტორი: **მალხაზ კიკნაძე**

ს. ჭუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC-
IB-0320

გამოკვლევა

პროექტის დასახელება	ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან (დადგენილებები #000634 და #000280) და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში.
პროექტის იდენთიფიკატორი	ხელშეკრულება **N066/08-20**

დამკვეთის მიერ მოთხოვნილი მომსახურება:

1. ადგილზე გასვლა და სიტუაციის გაცნობა;
2. ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან (დადგენილებები #000634 და #000280) და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში.

შენობების ვიზუალური დათვალიერება-აღწერა.

ინსპექტირების წინაშე დასმულ ამოცანას წარმოადგენს ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან (დადგენილებები #000634 და #000280) და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში.

გამოსაკვლევი ობიექტი წარმოადგენილია ორი მიწისზედა და ერთი მისისქვეშა სართულისაგან. კონსტრუქციულად შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური კარკასი. შენობის გაბარიტული ზომებია 51.9X30მ. შენობა დანიშნულებით წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობას (ოფისი, დამხმარე ფართი, კომერციული და სავაჭრო).

გამოსაკვლევი ობიექტის ინსპექტირებისას გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები შეთანხმებულ პროექტთან (ბრძანება №4366114 - 11.02.2019) მიმართებაში, კერძოდ:

1. -3.40 ნიშნულზე ჩასასვლელ პანდუსთან „10-ა-ა' " ღერძებში გაუქმებულია ასაწევი ჭალუზი. მის ნაცვლად „8-ა-ა'" ღერძებში მოწყობილია ცხაური და კარი.
2. შეცვლილია „10-11-ა-ბ" ღერძებში მდებარე პანდუსის ქანობი და ნაცვლად 10%-ისა წარმოადგენს 5%-ს
3. -3.4 ნიშნულზე „10-გ'-დ" ღერძებში ერთფრთიანი კარი შეცვლილია ცეცხლგამძლე ორფრთიანი კარით.

ს. ქუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC–
IB-0320

4. -3.4 ნიშნულზე „10-11“ ღერძებში „გ’ “ და „დ“ ღერძებს შორის მდებარე კედელზე გაუქმებულია ერთფრთიანი კარი.

5. -3.4 ნიშნულზე „8-გ-ზ“ მოწყობილია 20 სმ სისქის კედელი, ნაცვლად თაბაშირმუყაოს კედლისა.

6. -3.4 ნიშნულზე „ზ-ბ-გ“ ღერძებში დამატებულია 20 სმ სისქის კედელი და „ტამბური“ კარების გარეშე.

7. -3.4 ნიშნულზე „6-7-9“ რერძებში მდებარე კედელში მოწყობილია ორფრთიანი ცეცხლგამძლე კარი ნაცვლად ერთფრთიანი კარისა.

8. -3.4 ნიშნულზე „6-7-ზ“ ღერძებში მდებარე კედელში მოწყობილია რკინის კარი და შიდა და გარე კიბე. ასევე ამოღებულია მინაბლოკი „7“ ღერძისკენ.

9. -3.4 ნიშნულზე „6“ ღერძზე „ბ-გ“ და „გ’-დ“ ღერძებში გასაგორებელი კარების ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარები, ხოლო დ-ე ღერძებში მდებარე გასაგორებელი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი.

10. -3.4 ნიშნულზე „6-გ-გ’ “ დამატებით მოწყობილია ტიხარი და ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარი.

11. -3.4 ნიშნულზე „5-6-გ-გ’ ღერძების შუაში მდებარე კედლიდან ამოღებულია კარი.

12. -3.4 ნიშნულზე „ე-4-5“ ღერძებში მდებარე ღიობში დაემატა ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარი.

13. -3.4 ნიშნულზე „1-2-გ“, „2-გ-გ’ “ და „გ’-დ-1-2“ ღერძებში (კიბის უჯრედთან) მოწყობილია ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარები (3 ცალი) ნაცვლად ჩვეულებრივი ერთფრთიანი კარებისა.

14. -3.4 ნიშნულზე „გ-ბ-2-3“ ღერძებში დამატებით მოწყობილია ტიხარი კარით. ასევე არსებულ კედელში მოწყობილია ახალი კარი. ხოლო „2-3-გ“ ღერძებში მდებარე კარის ნაცვლად მოწყობილია ღიობი.

15. -3.4 ნიშნულზე ბ-გ-2-3“ ღერძებში სამზარეულოში შესასვლელ კარს შეცვლივლი აქვს მდებარეობა და მოწყობილია „2“ ღერძზე მდებარე კედელში.

16. 0.00 ნიშნულზე „10-11-ა“ ღერძებზე მოწყობილია ერთფრთიანი კარი, ნაცვლად ფანჯრისა.

17. 0.00 ნიშნულზე „ა-ა’-10-9“ ღერძებში დამატებით მოწყობილია სველი წერტილი.

18. 0.00 ნიშნულზე „8-9-ა-ა’) ღერძებში მოწყობილია მონოლითური ფილა და ტიხარი ალუმინის ფანჯრით. „8-9-ა“ ღერძზე მოწყობილია კედელი ალუმინის ფანჯრით. „9-ა-ა’“ ღერძზე არსებულ კედელში დამატებით მოწყობილია ერთფრთიანი კარი.

19. „ა-9-10“ ღერძებში გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე.

19. 0.00 ნიშნულზე „10-11-გ’ “ ღერძებში მოწყობილია ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარი (2 ცალი) ნაცვლად ჩვეულებრივი კარისა.

20. 0.00 ნიშნულზე „8-9-გ’-ზ“ და „8-გ’-ზ“ ღერძებში მოწყობილია 20სმ სისქის კედელი ნაცვლად თაბაშირმუყაოს კედლისა.

21. 0.00 ნიშნულზე „გ’-დ-8“ ღერძებს შორის მოწყობილია „დაწნევითი ტამბური“ ცეცხლგამძლე ორფრთიანი კარებით (2 ცალი).

22. 0.00 ნიშნულზე „7-8-ბ-გ“ ღერძებში მოწყობილია 20 სმ სისქის კედელი, ნაცვლად თაბაშირმუყაოს ტიხრებისა. „7-8-გ“ ღერძებში მდებარე არსებულ „ტამბურში“ მოწყობილია ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარები ნაცვლად ჩვეულებრივი კარებისა.

ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირება დასრულდა-04/11/2020

პ. ქუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC–
IB-0320

23. 0.00 ნიშნულზე „დ-ზ-7-8“ ღერძებში არ არის მოწყობილი ტიხრები და კარი. მის ნაცვლად მოწყობილია ახალი ოთახი, ორი ტიხრითა და კარით „ე-ზ-7-8“ ღერძებში ღერძის მიმდებარედ.

24. 0.00 ნიშნულზე „1-2-გ“, „2-გ-გ’ “ და „გ’-დ-1-2“ ღერძებში (კიბის უჯრედთან) მოწყობილია ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარები (3 ცალი) ნაცვლად ჩვეულებრივი ერთფრთიანი კარებისა.

25. 0.00 ნიშნულზე „გ-გ’-1“ ღერძებში შესასვლელთან არ არის მოწყობილი კედელი კარებით, მათ ნაცვლად „1“ ღერძზე მოწყობილია ალუმინის ვიტრაჟი კარით.

26. 0.00 ნიშნულზე „5-6-7-8“ ღერძებში „ა“ ღერძის მიმართულებით დამატებით მოწყობილია ბორდიური და წყალმიმღები ცხაური.

27. 0.00 ნიშნულზე „9-10-ა’-ა“ ღერძებში კიბე გადაწეულია „10 ღერძის მიმართულებით. შესაბამისად დაგრძელებულია კიბის გვერდით მოაჯირი.

28. 0.00 ნიშნულზე „ე-ზ-6“ ღერძზე მდებარე ტიხარი გადაადგილებულია „5“ ღერძის მიმართულებით (2 მეტრით).

29. 0.00 ნიშნულზე „5-6-ბ-გ“ ღერძებში „ბ-6“ კუთხეში დამატებით მოწყობილია ახალი კედელი, ხოლო არსებულ კედელში მოწყობილია ახალი კარი „6“ღერძთან.

30. დაცვის ჯიხურის ორიენტაცია შებრუნებულია 90 გრადუსით და შეცვლილია კარის ადგილმდებარეობა, ასევე ჯიხურის გვერდით „1“ ღერძზე დამატებულია ახალი კედელი.

31. შენობის ფასადზე „ზ“და „11“ ღერძებზე მინაბლოკები შიდა მხრიდან ამოშენებულია.

32. +3.50 ნიშნულზე „8-9-ა’-გ“ ღერძებში შეცვლილია საქვაბის გაბარიტები და კარის მდებარეობა.

33. +3.50 ნიშნულზე „3-4-გ’-ზ“ ღერძებზე ორმაგ კედლებში მოწყობილია ორი მინაბლოკის ფანჯარა, რომლებიც გარე მხრიდან შევსებულია და ერთი ცეცხლგამძლე ერთფრთიანი კარი.

34. +3.50 ნიშნულზე „ე-ზ“ ღერძებში „4“ ღერძის გასწვრივ დამატებით მოწყობილია ლითონის აივანი მოაჯირით. აღნიშნული აივანის კონსტრუქცია სრულად შეესაბამება წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას).

35. +3.50 ნიშნულზე „1-2-ე“ ამოღებულია ტიხარი კარით, ასევე „1“ ღერძზე ამოღებულია აივნის კარი.

36. +3.50 ნიშნულზე „1-ე-დ“ ღერძებში აივნის კარი გადაადგილებულია „ე“ ღერძის მიმართულებით.

37. +3.50 ნიშნულზე „ბ-გ-2-3“ ღერძებში არ არის მოწყობილი ნახევარტიხარი კარით.

38. +3.50 ნიშნულზე „3-ბ-გ’ “ ღერძებში დამატებით მოწყობილია ხის პერგოლა.

39. „3-11-ა-გ’ “ ღერძებში მცირედით შეცვლილია იატაკის და გადახურვის ფილის დონეები.

38. +3.50 მიშნულზე „ა-ბ-1-3“ შებრუნებულია ფასადის კარებების გაღების მიმართულება. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრებისა და კარების ნახატები, მასალა და ტიპი.

39. +3.50 ნიშნულზე „დ-გ-1“ ღერძებში ფასადის ერთი ფანჯარა გადატანილია „გ“ ღერძისკენ.

40. 3-5“ ღერძებში +3.50 ნიშნულზე ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

41. სახურავზე მოხსნილია ლიფტის სამანქანო განყოფილება.

42. ფასადი „1-დ-გ“ ღერძებში, აწეულია პარაპეტის სიმაღლე 50სმ-ით.

კ. ქუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC–
IB-0320

43. ფასადი „1“ ღერზძე, შეცვლილია ვიტრაჟის ფორმა. ფაქტობრივად მოწყობილია ალუმინის სრული ვიტრაჟი, მის ვერტიკალურ პროფილებს შორის გამოტოვებების გარეშე, ხოლო შეთანხმებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ვიტრაჟებს შორის შემავსებელი წყობა.

44. ფასადებზე გადანაცვლებული და გადანაწილებელია ღებვისა და დეკორატიული პანელების ფერის კომბინაცია.

45. „11-1“ ფასადზე გაზრდილია წყალშემკრები მილების რაოდენობა.

46. „ა-9-10“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

47. „11“ ღერძზე ფასადზე „გ-გ'-ზ“ ღერძებში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

48. „ა-1-3“ მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი გადახურვები (მინის გადახურვა).

49. ფანჯრების, ფრამუგების და მინაბლოკების ძირში მოწყობილია საცრემლეები.

50. „1-2-გ-დ“ ღერძებში მდებარე კიბის უჯრედი შეთანხმებულ არქიტექტურული პროექტსა და კონსტრუქციულ ნაწილში განსხვავებულია. ფაქტობრივად მოწყობილი კიბე შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ასევე წარმოდგენილია ფაქტობრივად მოწყობილი კიბის შესაბამისი კონსტრუქციული პროექტი.

51. შიდა გეგმარების გარკვეული ცვლილებებიდან გამომდინარე გარკვეულწილად შეცვლილია სახანძრო სისტემების ქსელი და დეტექტორების რაოდენობა.

გამოსაკვლევი ობიექტისა და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით (დადგენილებები #000634 და #000280) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ობიექტის მშენებლობისას გარკვეული სამუშაოები შესრულებულია დარღვევებით, ხოლო შეთანხმებულ პროექტთან (ბრძანება №4366114 - 11.02.2019) მიმართებაში დარღვევებით ნაწარმოები ფაქტობრივი სამუშაოები სრულად შეესაბამება წარმოდგენილ კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციას.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას განხორციელებული ცვლილებები ძირითადად არქიტექტურული ხასიათისაა და გავლენას არ ახდენს შენობის კონსტრუქციულ მდგრადობაზე. რაც შეეხება შეთანხმებული პროექტისგან (ბრძანება №4366114 - 11.02.2019) დარღვევით ნაწარმოებ კიბის უჯრედსა („1-2-გ-დ“ ღერძებში) და +3.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილ ლითონის აივანს („ე-ზ“ ღერძებში „4“ ღერძის გასწვრივ), მათი სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. აღნიშნულ კონსტრუქციებზე არ აღინიშნება არანაირი დეფორმაციები და დაზიანებები, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა აღნიშნული შენობის მდგრადობასა და საიმედოობაზე.

ს. ჭუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC–
IB-0320

გამოკვლევაში გამოყენებული დოკუმენტაცია:

- განაცხადი და ხელშეკრულება **N066/08-20** ინსპექტირების მომსახურების გაწევაზე.
- საპროექტო დოკუმენტაცია.

კვლევაში გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტაცია:

- პნ 01.05-08 სამშენებლო კლიმატოლოგია;
- პნ-01-01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა" ;
- პნ 03.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები"
- СП 13-102-2003 (შენობის და ნაგებობების, მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები)
- საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი. 1992წ
- EMG/IB/IMP–7.1-20.A05. ინსპექტირების პროცედურები.

კვლევაში გამოყენებული ხელსაწყოები:

- მანძილმზომი ლენტი (რულეტკა) - (დაკალიბრების თარიღი 24.07.2020 წელი, სერთიფიკატის ნომერი 00512/2-20);
- SONY HX300 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;

დანართი: - **ფოტოფიქსაცია;**

- **შეთანხმებული და კორექტირებული პროექტების გეგმები, კონსოლური ბაქნისა და კიბის უჯრედის კონსტრუქციული პროექტი;**
- **ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით (დადგენილებები №000634 და №000280)**
- **შემსრულებელი ინსპექტორების დიპლომები და CV**

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი

კ. ჭუთათელაძის ქუჩა #8,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

GAC

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013 GAC-
IB-0320

ინსპექტირების ანგარიშის დასკვნითი ნაწილი

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსისა და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, ქ. თბილისის მერიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით (დადგენილებები №000634 და №000280) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ობიექტის მშენებლობისას გარკვეული სამუშაოები შესრულებულია დარღვევებით, ხოლო შეთანხმებულ პროექტთან (ბრძანება №4366114 - 11.02.2019) მიმართებაში დარღვევებით ნაწარმოები ფაქტობრივი სამუშაოები სრულად შეესაბამება წარმოდგენილ კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციას.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას განხორციელებული ცვლილებები ძირითადად არქიტექტურული ხასიათისაა და გავლენას არ ახდენს შენობის კონსტრუქციულ მდგრადობაზე. რაც შეეხება შეთანხმებული პროექტისგან (ბრძანება №4366114 - 11.02.2019) დარღვევით ნაწარმოებ კიბის უჯრედსა („1-2-გ-დ“ ღერძებში) და +3.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილ ლითონის აივანს („ე-ზ“ ღერძებში „4“ ღერძის გასწვრივ), მათი სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. აღნიშნულ კონსტრუქციებზე არ აღინიშნება არანაირი დეფორმაციები და დაზიანებები, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა აღნიშნული შენობის მდგრადობასა და საიმედოობაზე.

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას განხორციელებული სამუშაოები სრულად აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

ინსპექტორი: მალხაზ კიკნაძე

ტექნიკური მენეჯერი: ზურაბ ხიდირბეგიშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

დირექტორი: მიხეილ კიკოლაშვილი

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013
GAC-IB-0274

ფოტოფიქსაცია



ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP-8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

საინჟინრო
მონიტორინგის
ჯგუფი

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეც
17020:2012/2013
GAC–IB-0274



ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

ხსტ ისო/ეც
17020:2012/2013
GAC-IB-0274







ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP-8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

ხსტ ისო/იეც
17020:2012/2013
GAC-IB-0274



ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეც
17020:2012/2013
GAC–IB-0274



ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

სპინვინგი
მრენიერინგის
ჯგუფი

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

ისო/იეც
17020:2012/2013
GAC–IB-0274



ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეც
17020:2012/2013
GAC-IB-0274









ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013
GAC-IB-0274





ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020

ალ. ყაზბეგის ქუჩა №47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 599 292
ელ.ფოსტა: info@emg.ge

სსტ ისო/იეც
17020:2012/2013
GAC–IB-0274





ინსპექტირების ანგარიში N005730; ინსპექტირების დაწყება - 12/08/2020; ინსპექტირების დასრულება-04/11/2020;

დოკუმენტის №EMG/IB/MP–8.2-20.A10-1; გამოცემა/გადახედვა: 1/0; სტატუსი: გამოიცა: 26.06.2020


-3.40
-3.40
10%
16%
10%
5.50
6.00
2.20
6.50
6.50
6.50
6.50
6.50
5.70
51.90
30.00
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11


±0.00
±0.00/444.50
±0.00/444.50
+0.00/444.50
-1.50
/443.60
-1.30
/443.20
-0.45
-0.80
/444.30
-0.10
/444.40
-0.35
/444.15
-0.40
/444.10
-0.20
/444.30
-0.15
/444.35
10%
5.50
5.50
50
2.20
6.50
6.50
6.500
6.500
6.50
5.70
51.90
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11


0.00/444.50
+3.50
+3.50
+3.50
სადგომი
სადგენერატორო
51.90
5.50
5.50
50
2.20
6.50
6.50
6.50
6.50
6.50
5.70
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11


+503.300
505.780
51.90
5.50
5.50
2.20
6.50
6.50
6.50
6.50
6.50
5.70
30.00
6.00
6.00
6.00
6.00
3.10
2.90
11.00
40.96
40.98
+7.20
+7.00
+3.90
+3.50
+8.15
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
A
B
C
D
E
F
G


-3,40
-3,40
10%
16%
5%
5,50
6,00
2,20
6,50
6,50
6,50
6,50
6,50
5,70
51,90
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
30,00
6,00
6,00
6,00
6,00
4,00
2,00
6,00
6,00
3,10
6,00
2,90


±0,00
±0,00/444.50
±0,00/444.50
+0.00/444.50
+0.00/444.50
+0.00 /444.05
-1.30 /443.20
-1.50 /443.00
-0.30 /444.20
-0.10 /444.40
-0.05 /444.65
-0.10 /444.50
-0.20 /444.30
-0.35 /444.15
-0.40 /444.10
-0.15 /444.35
10%
10%
5.50
5.50
2.20
6.50
6.50
6.500
6.500
6.50
5.70
51.90
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11


A-1
LEGEND
+503.300
505.780
0.00/444.50
+3,50
+3.60
+3,50
51,90
30,00
5,50
5,50
50
2,20
6,50
6,50
6,50
6,50
6,50
5,70
6,00
6,00
4,00
2,00
6,00
3,10
2,90
12,09
NOTES
EXPLANATION
KEY PLAN
SCALE
DATE OF ISSUE
STAGE
PAGES


+503.300
505.780
51.90
40.96
40.86
11.00
30.00
14.06
7.65
2.07
+7.20
+7.80
+7.00
+3.60
+3.50
+8.15
5.50
2.20
6.50
5.70
6.00
3.10
2.90





+503.300

505.780

ICES





+503.300
505.780

LEGEND

NOTES

EXPLANATION

KEY PLAN

IKES


6,00
6,00
4,00
2,00
6,00
3,10
2,90
30,00
Б
В
Г
Д
Е
Ж
З
И
А


5,50
5,50
50
2,20
6,50
6,50
6,50
6,50
6,50
5,70
51,90
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

მონოლითური კიბე კბ-1
▽-3.40 დან ▽0.00 მდე



მონოლითური კიბე კბ-1
▽0.00 დან ▽+3.45 მდე



პოზ.	აღნიშვნა	დასახელება	ცალი	წონა ერთ. კგ	საერთო წონა კგ
		მონოლითური კიბე კბ-1			
		დეტალები			
1	დაიჭრას ალბილზე	⌀ 12 A500C ℓ= 86400	1	76.71	76.71
2		⌀ 12 A500C ℓ= 4700	8	4.17	33.38
3		⌀ 12 A500C ℓ= 4000	8	3.55	28.41
4		⌀ 12 A500C ℓ= 1650	16	1.46	23.44
5		⌀ 12 A500C ℓ= 2100	16	1.86	29.83
6		⌀ 12 A500C ℓ= 4500	16	4.00	63.92
7		⌀ 12 A500C ℓ= 5200	16	4.62	73.87
8		⌀ 12 A500C ℓ= 5100	8	4.53	36.22
9		⌀ 12 A500C ℓ= 4400	8	3.91	31.25
10	დაიჭრას ალბილზე	⌀ 8 A500C ℓ= 178920	1	70.60	70.60
11		⌀ 6 A240 ℓ= 600	240	0.13	31.96
12		⌀ 6 A240 ℓ= 1100	40	0.24	9.77
13		⌀ 6 A240 ℓ= 280	90	0.06	5.59
14	დაიჭრას ალბილზე	⌀ 12 A500C ℓ= 24000	1	21.31	21.31
15		⌀ 6 A240 ℓ= 760	30	0.17	5.06
		მასალები			
		B25 კლასის ბეტონი		4.72	მ³

მონოლითური სარტყელი



პოზ.15



LEGEND

NOTES

EXSPLIKATION

KEY PLAN

ICES

SCALE 1:50

DRAWING მონოლითური კიბე კბ-1

STAGE

INDEX J- 53

კვეთი 1-1



კვეთი 2-2



A-3	

LEGEND

NOTES

EXSPLIKATION

KEY PLAN

ICES

SCALE	1:25
DATE OF ISSUE	

კვეთი 1-1, კვეთი 2-2

STAGE	INDEX
	ქ- 54

კონსოლური ბაქანი

კონსტრუქციული ნაწილი

2019

ნახაზების ჩამონათვალი

№ №	ნახაზის დასახელება
1	ნახაზების ჩამონათვალი; მასალის ხარჯის უწყისი
2	ბაქანის გეგმა
3	ჭრილი 1-1; ჭრილი 2-2; 3-3
4	დეტალი დეტ.1
5	დეტალი დეტ.2
6	დეტალი დეტ.3
7	დეტალი დეტ.4

ლითონის ელემენტების ხარჯის უწყისი

I№18	ГОСТ 8240-97	327.52
I№14	ГОСТ 8240-97	109.6
□80×80×4	ГОСТ 30245-2003	14.93
-16	ГОСТ 19903-74	105.5
-12	ГОСТ 19903-74	68.13
-10	ГОСТ 19903-74	49.39
-ЧРиф. 4	ГОСТ 8568-77	376.56
შედუღებაზე	1%	11
ჭრაზე დანაკარგი	2%	21
საერთო წონა		**1083**

HIT-RE500 HIT-V M16 (8.8) (ℓ=100 მმ) 28 ცალი
გასაბერი ანკერი M16 (ℓ=200 მმ) 16 ცალი
მაღალი სიმტკიცის ბოლტი M16 (ℓ=240 მმ) 8 ცალი
მაღალი სიმტკიცის ბოლტი M16 (ℓ=220 მმ) 8 ცალი
მაღალი სიმტკიცის ბოლტი M20 (ℓ=70 მმ) 2 ცალი

კონსტრუქტორი	ლევან ჩოფიაშვილი
პროექტის სახელწოდება	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	ზომები მოცემულია მილიმეტრებში დახრილები მოცემულია გრადუსებში
მასშტაბი	1:
ნახაზების ჩამონათვალი	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც. 1

ბაქანის გეგმა



შენიშვნა:

ავზების განთავსების ზონაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ავზების დაყრდნობა მინიმუმ 2 I№18 კოჭზე. ყველა I№18-იანი კოჭი რკინაბეტონის არსებულ კონსტრუქციაზე უნდა დამაგრდეს ქიმიური ანკერით (HIT-RE500 HIT-V M16 (8.8)). I№14-იანი კოჭები კინაბეტონის არსებულ კონსტრუქციაზე უნდა დამაგრდეს გასაბერი ანკერების მეშვეობით. ჩამაგრების კვანძები იხ. შესაბამის ნახაზზე.

კონსტრუქტორი	ლევან ჩოჩიაშვილი
პროექტის სახელწოდება	
კონსოლური ბაქანი	
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	
მასშტაბი	1:50
ბაქანის გეგმა	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც. 2

ჭრილი 2-2



ჭრილი 1-1



ჭრილი 3-3



კონსტრუქტორი	ლევან ბურჭულაძე
პროექტის სახელწოდება	
	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	ზომები მოცემულია მილიმეტრებში სიმაღლეთა მოცემულია მეტრებში
მასშტაბი	1:25
ჭრილი 1-1; ჭრილი 2-2; ჭრ	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც 3

დეტალი დეტ.1



1-1



პოზ. 4



პოზ. 5



შენიშვნა:
ანკერები მოეწყოს ალმასის თავიანი ბურღით წინასწარ გაბურღულ ხვრელში.
მონტაჟის წესი - მშრალი.
საანკერე ხვრელის დიამეტრი - 18 მმ.
საანკერე ბოლტის დაჭერის მომენტი - 0.15 კნ*მ.
საანკერე ხვრელი საჭიროა გაიწმინდოს ჰაერის დაბერვით.
ანკერი საჭიროა შესრულდეს STO 36554501-048-2016 მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

კონსტრუქტორი	ლევან [illegible]
პროექტის სახელწოდება	
კონსოლური ბაქანი	
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	
მასშტაბი	1:10
დეტალი დეტ.1	
კონსტრუქციული ნაწილი	4

დეტალი დეტ.2



2-2



3-3



პოზ. 6



შენიშვნა:
ბოლტებით შეერთებულ ლითონის დეტალებში ბოლტების მოჭერა უნდა მოხდეს ბოლტების მწარმოებლის შესაბამისი სახსტანდარტის მიხედვით (ბოლტების მინიმალური სიმტკიცე 8.8). ბოლტების მოჭერის კონტროლი განხორციელდეს დინამომეტრით. ლითონის ელემენტები საჭიროა დაიფაროს ანტიკოროზიული და ანტისახანძრო ხსნარებით.

კონსტრუქტორი	ლევან ბოლქვაძე
პროექტის სახელწოდება	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	
მასშტაბი	1:10
დეტალი დეტ.2	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც.№ 5

დეტალი დეტ.3



4–4



პოზ. 6



პოზ. 10



პოზ. 11



შენიშვნა:

ბოლტებით შეერთებულ ლითონის დეტალებში ბოლტების მოჭერა უნდა მოხდეს ბოლტების მწარმოებლის შესაბამისი სახსტანდარტის მიხედვით (ბოლტების მინიმალური სიმტკიცე 8.8). ბოლტების მოჭერის კონტროლი განხორციელდეს დინამომეტრით. ლითონის ელემენტები საჭიროა დაიფაროს ანტიკოროზიული და ანტისახანძრო ხსნარებით.

კონსტრუქტორი	ლევან ჩოფიკაშვილი
პროექტის სახელწოდება	
	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	
მასშტაბი	1:10
	დეტალი დეტ.3
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც.№ 6

დეტალი დეტ.3





პოზ. 6



პოზ. 10



პოზ. 11



შენიშვნა:
ბოლტებით შეერთებულ ლითონის დეტალებში ბოლტების მოჭერა უნდა მოხდეს ბოლტების მწარმოებლის შესაბამისი სახსტანდარტის მიხედვით (ბოლტების მინიმალური სიმტკიცე 8.8). ბოლტების მოჭერის კონტროლი განხორციელდეს დინამომეტრით. ლითონის ელემენტები საჭიროა დაიფაროს ანტიკოროზიული და ანტისახანძრო ხსნარებით.

კონსტრუქტორი	ლევან ჩოფიაშვილი
პროექტის სახელწოდება	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დანიშნულება	
მასშტაბი	1: 10
დეტალი დეტ.3	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც. 6

დეტალი დეტ.4



5-5



პოზ. 12



პოზ. 13



პოზ.	აღნიშვნა	დასახელება		რაოდ.	ერთ. წონ. კგ	საერთო წონა კგ
		ლითონის ელემენტები				
		დეტალები				
1	ორტესებრი	I№ 18	ℓ= 17800	1	327.52	327.52
2	ორტესებრი	I№ 14	ℓ= 8000	1	109.60	109.60
3	კვადრატული მილი	□ 80×80×4	ℓ= 1600	1	14.93	14.93
4	ლითონის ფურცელი	−400×300×16		7	15.07	105.50
5	ლითონის ფურცელი	−190×110×10		14	1.64	22.97
6	ლითონის ფურცელი	−230×230×12		8	4.98	39.87
9	ლითონის ფურცელი	−120×120×10		2	1.13	2.26
10	ლითონის ფურცელი	−120×100×10		2	0.77	1.53
11	ლითონის ფურცელი	−120×100×10		2	0.77	1.53
12	ლითონის ფურცელი	−300×250×12		4	7.07	28.26
13	ლითონის ფურცელი	−150×150×10		4	1.77	7.07
14	ლითონის ფურცელი	ЧРиф. 4		1	376.56	376.56

კონსტრუქტორი	ლევან ჩოთიაშვილი
პროექტის სახელწოდება	კონსოლური ბაქანი
მისამართი	
დამკვეთი	
შენიშვნა:	ზომები მოცემულია მილიმეტრებში ნიშნულები მოცემულია მეტრებში
მასშტაბი	1: 10
დეტალი დეტ.4	
კონსტრუქციული ნაწილი	ფურც № 7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000634

შედგენის თარიღი: 17.07.2015

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში ამოწმებს მითითების შესრულებას, ადგენს შემოწმების აქტს და მასში ასახავს ინფორმაციას მითითების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 124-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მითითება გაცემულია საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" ——— მუხლის ——— ნაწილის ——— ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება _____

გაცემული № _____ მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: _____

შემოწმებით დადგინდა: _____

რითაც დგინდება, რომ:
ა) მითითება შესრულდა;
ბ) მითითება არ შესრულდა.

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:
ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ;
გ) დამრღვევის დაჯარიმებისა (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 125-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ – თუ უნებართვო მშენებლობის განმახორციელებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაა (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 127-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
თუ მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია, მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ, არ არსებობს 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 127-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ დარღვევა დადგენილების მიღებამდე გამოსწორდა, გარდა ამ კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისა, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზეან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 125-ე მუხლის მე-5 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):
_____
_____
_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა): 10.07.20
_____
_____
_____

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე, თუ ის არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)
_____
_____ განთავსების თარიღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/p891-20
"17" 07 2020 წ.

დადგენილება №000634
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

17.07.2020წ. ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქუჩა №

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე, 2020 წლის 13 ივლისის №000634 მითითება და 2020 წლის 17 ივლისის შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. "კონდი"-ს (ს/ნ 404497914; მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ. კორპ. №4. ბ. №12) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 131-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, №01.72.14.014.888 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4366114, 11.02.2019 ბრძანებით განსაზღვრული ნებართვის ვადის გასვლის შემდეგომ, კერძოდ, შენობის +5.00 ნიშნულზე აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი გადახურვები და მოაჯირები.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2020 წლის 13 ივლისს შედგენილ იქნა №000634 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა და დაევალა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ან უსაფრთხოების წესების დაცვით გადახურვის და მოაჯირის დემონტაჟი.

საქმეშია, მხარის მიერ 2020 წლის 15 ივლისს წარმოდგენილი 10/01201972501-17 განცხადება, რომლის თანახად, შ.პ.ს. "კონდი" ეთანხმება 2020 წლის 13 ივლისის მითითებით გათვალისწინებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

2020 წლის 17 ივლისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000634 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "კონდი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 131-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "კონდი" დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, №01.72.14.014.888 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4366114, 11.02.2019 ბრძანებით განსაზღვრული ნებართვის ვადის გახვლის შემდგომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის.

2. შ.პ.ს. "კონდი"-ს დაეკისროს ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, №01.72.14.014.888 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4366114, 11.02.2019 ბრძანებით განსაზღვრული ნებართვის ვადის გახვლის შემდგომ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი.

3. შ.პ.ს. "კონდი"-ს დაეკისროს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: მიმღების **დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის

სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "კონდი"-ს დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-21/0855-20

"13" 07 2020 წ.

დადგენილება №000280
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

13.07.2020წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ლევან ჯღარკავამ განვიხილე, 2020 წლის 13 ივლისის №000280 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს. **„კონდი"-ს** (ს/ნ №404497914, დირექტორი - ირაკლი ბოჭორიშვილი; მის: ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

